ოქმი:**ო37. 3723241001**

თარიღი:**29/08/2023**

ოქმი #17

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2023 წელი 25 აგვისტო

ქ. ოზურგეთი

16:00-17:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია - საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები:ლ. ბიგვავა, ტ. აროშიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, დ. მჟავანაძე, ალ. ბურჭულაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მათ მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 9 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი : ხათუნა სურგულაძე

დავით ჭაკნელიძე

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი : ხათუნა სურგულაძე

დავით ჭაკნელიძე

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,მეგობრობის“ სახელის მინიჭების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N57 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი : ბექა თოიძე

4.. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის ,,გაბრიელ ეპისკოპოსის“ სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 ნოემბრის N58 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი : ბექა თოიძე

5. ქალაქ ოზურგეთში სანაპიროს ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და ,,ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სანაპიროს ქუჩის“ სახელის მისანიჭებლად - გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წელში, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი : ბექა თოიძე

საკითხის განხილვისას ბიუროს წევრმა ტ. აროშიძემ დასვა შეკითხვა სოფელ ბაილეთის ცენტრიდან ამავე სოფლის ჭანიეთურის უბნის საზღვრამდე გზის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. დაევალა დარგობრივ კომისიას(ბ. თოიძე), გაარკვიოს სიტუაცია და საკრებულოს მიაწოდოს ინფორმაცია.

7. ,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულშ (ს/კ 26.29.24.133) მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

8. ინფორმაცია- 2022 წლის და 223 წლის 6 თვის მდგომარეობით კულტურისა და სპორტის განვითარების პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგების შესახებ-ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი : ქეთევან ხომერიკი

9. სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილიN1,2,3,4,5,6,7 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

2. N8 საკითხი მიღებულ იქნას ცნობად.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი